სამეგრელოს მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N21 (9201) 30 ივლისი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

6 თვის ბიუჯეტის შესრულება 89.9 პროცენტია

2

ეკიდაზე ადრე და ხორხიანად

სამცხეკედლიდან 139 სოფლის შორის

3

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი იწყება

6

ხელისუფლებამ ცვლილებებმი მხარდაჭერა ვერ მოთჯვა

7

ზეა

_ინქიი

_ჰოჰი

_ჰოჰოსტი

აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

5

6 თვის ბიუჯეტის შესრულება 89.9 პროცენტია

ნინო ნანიტაშვილი

2016 წლის წლიური ბიუჯეტი 13 905 400 ლარს შეადგენს. 6 თვის მონაცემებით გეგმა 7 855 700 ლარია. ფაქტიური შესრულება შემოსულობებში 7 061 800 ლარს შეადგენს. ე. ი. 6 თვის ბიუჯეტი შემოსულობებში 89,9 პროცენტით შესრულდა, ხოლო ხარჯების მიმართულებით ფაქტიურად დაიხარჯა 6 271 600 ლარი. შესრულების პროცენტია 79, 8. ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურული სამუშაოები შეადგენს 610 922 ლარს. აღნიშნული პროექტები მოიცავს სკვერების კეთილმოწყობას, დედის ძეგლის რეაბილიტაციას, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვებს, რუსთაველის და თამარ მეფის ქუჩების კედლების რეაბილიტაციას, გარე განათებების, არხებისა და ცხაურების, "ჯეოჰოსპიტალის" ამბულატორიული ცენტრის ეზოს ასფალტბეტონის საფარის მოწყობას.

ინფრასტრუქტურულ სამშუაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3 695 200 ლარი. იგი მოიცავს სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს, რომელიც განსაზღვრულია 729 471 ლარით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 288 591 ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს მუნიციპალიტეტში ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს თანადაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 პროცენტის ოდენობით.

ივლისში რეგიონალური პროექტიდან მოხდა კვლავ დამატებითი თანხის გამოყოფა, რამაც საერთო ჯამში 2 481 141 ლარი შეადგინა. ასევე გაიზარდა 5 პროცენტიანი თანადაფინანსება რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 130 900 ლარი გამოიყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და ზედამხედველობის განყოფილების უფროსის, მედა ლეჟავას განმარტებით, სამუშაოების გაწერა დაგეგმილის მიხედვით მიმდინარეობს: "ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე რაც კი გვქონდა 6 თვეში დაგეგმილი, სამუშაოები მიმდინარეობს ეფექტურად. რაც იმის თქმის საშუალბას გვაძლევს, რომ 6 თვის შემოსულობების მაჩვენებლის შესაბამისად ხორციელდება ჩვენს მუნიციალიტეტში დაგეგმილი სხვადასხვა სახის სამუშაოები".

კვესოებრება საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძე

ლევან გაბეჩავა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მერაბ უღრელიძე სტუმრობს ამჯერად "სამტრედიის მაცნეს".

ბატონები იმედა გოგავა, ბადრი შენგელია, დავით ამაღლობელი, ილო მჟავია, მამუკა ბიბილეიშვილი, ავთანდილ თადუმაძე, გია ხაბეიშვილი, გიორგი დარჯანია და ტარიელ თევზაძე ამ კომისიის შემადგენლობაში არიან, ისინი საჭიროების შემთხვევაში ფრიბებიან და იხილავენ იმ საკითხებს, კომისიის კომპეტენციაში რომ შედის.

ქუჩების კეთილმოწყობა, ელექტროგადამცემი ბოძების, წყლის სისტემის, სანაგვე ურნების რეაბილიტაცია და დადგმა... ნაწილია იმ განცხადებებისა, რაც საკრებულოს ამ დარგობრივ კომისიაში მუნიციპალიტეტის მცხოვრებთაგან შემოდის.

_ განცხადებების მიხედვით ადგილებზე გავდივართ, საკითხს ერთობლივად ვსწავლობთ, შემდეგ კი საქმის კურსში გამგეობას, გამგეობის შესაბამის სასმახურებს ვაყენებთ შემდგომი რეაგირებისათვის, _ გვითხრა ბატონმა მერაბმა.

შეკითხვაზე _ არსებობს თუ არა სამტრედიის განვითარების გენერალური გეგმა, კომისიის თავკაცი გვპასუხობს: გენერალური გეგმა ამ ეტაპზე მართალია არ არსებობს, მაგრამ მიმდინარეობს სამტრედიის განვითარების გეგმაზე (ინფრასტრუქტურულ პროექტებზე) მუშაობაო.

აქვე ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ სამტრედიის განვითარების გეგმა რამდენადმე მაინც შეზღუდავს უთუოდ ქალაქსა და დაბა-სოფლებში უგემოვნებო, უადგილო მშენებლობებს, რაც შეეხება გენერალურ გეგმას, მისი არსებობაც აუცილებლობაზე მეტადაა აუცილებელი.

ჩვენი რესპონდენტი ერთდროულად იმ კომისიის თავმჯდომარეცაა, რომლის შემადგენლობაშიც საკრებულოს წევრები, გამგეობისა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების აღიარებას ახდენს ეს კომისია.

ისევ და ისევ ჩვენის აზრით, მუნიციპალიტეტის საკრებულოები არ უნდა იყვნენ დაკავებულნი ისეთი საკითხების განხილვით, როგორებიცაა მოქალაქეთა კერძო ბინებზე, საზოგადოებრივ ობიექტებზე ნუმერაციის მინიჭება.

_გეთანხმებით, ეს საკითხი დასახვეწია, საჯარო რეესტრის ფუნქცია უფროა ყოველივეო, ბატონმა მერაბმა.

რაკიღა მერაბ უღრელიძე ეწრის თემის მაჟორიტარია, ორიოდე სიტყვა სოფელში არსებულ ვითარებაზეც ვკითხე:

_ უახლოეს ხანში პატარა ეწერში, კეჭინარის, ოჭოფა-გვიმრალას მიმართულებით გაკეთდება განათების სისტემა.

ასფალტი დაიგო გვიმრალა-კეჭინარის მიმართულებით ეწრის ცენტრამდე.

სიამოვნებით აღნიშნა რესპონდენტმა ჩვენთან საუბარში ნამდვილად სასიამოვნო ფაქტი იმის შესახებ, რომ სოფელში წინა წლებთან შედარებით იმატა შობადობის მაჩვენებელმა, რამაც ასახვა სოფლის სკოლის პირველკლასელთა კონტინგენტზეც ჰპოვა.

როგორც ყოველი ქრათველისათვის, ჩვენი რესპონდენტისათვისაც ოჯახი მყუდრო ნავთსაყუდელია, წმინდათა წმინდაა მისთვის ოჯახის მცნება.

მეუღლე, ქალბატონი მარინა ვაშაკიძე პედაგოგია, ფილოლოგი.

ილიას უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულია ქალიშვილი ნათია, იგი იმავე უნივერსიტეტში კათედრაზე დატოვეს სამუშაოდ და სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოს თანაავტორიცაა.

ტექნიკურ უნივერსიტეტში მშენებელ-ინჟინრის სპეციალობას დაეუფლა ვაჟიშვილი ვლადიმერი.

ვინც ჩვენს ქალაქში გაივლის, მაღალ-დაბალ, წითელ-ყვითელ შენობებს თვალს გადაავლებს, (რომელთა მფლობელებიც ძლიერნი ამა ქვეყნისანი არიან.) და რომელთა ადგილასაც ერთ დროს წლობით ნაზარდი ხეები შრიალებდა, რომლებიც დოკუმენტურად ყოველგვარი წესების დაცვით, თუმცა მაინც... (უადგილოდ)აშენდა, დაგვერწმუნება თუ ვიტყვით, რომ საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიამ, გამგეობის შესაბამისმა (ანალოგიურმა) სამსახურმა და ზოგადად მუნიციპალიტეტის მესვეურებმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ იმ მავნე ტრადიციის აღმოსაფრხვრელად, ბოლო ათწლეულებში რომ დამკვიდრდა ქალაქში, მუნიციპალიტეტში და სწორედ ამ უგემოვნო შენობებს უკავშირდება.

ასე დასრულდა ამჯერად ჩვენი საუბარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან.

წუთიც და კომისია შეიკრიბება.

განხილული საკითხების შესახებ საკრებულოს უახლოესი სხდომიდან შევიტყობთ.

ვადაზე ადრე და ხარისხიანად

ნინო ნანიტაშვილი

მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, ქალაქად და სოფლად 20 კილომეტრამდე ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგო. როგორც იყო ბიუჯეტში ჩადებული, 27 ქუჩა კეთილმოეწყო: დაბა კულაში, სოფლებში: ჩხენიშში, ღანირი, ბაში, ჭაგანი, მიწაბოგირა, დიდ ჯიხაიშის ყაზბეგის უბანში, კორმაღალი, ნაბაკევის თემში ნინუების უბანი. ქალაქის ტერიტორიაზე მოასფალტდა თაბუკაშვილის, ლეონიძის, თავისუფლების, ბაუსკას, ნინუას, მარჯანიშვილის, რესპუბლიკის ჩიხი № 2, რესპუბლიკის ჩიხი № 4, რესპუბლიკის ქუჩა, კალაძის, ბახტაძის, ფანჯიკიძის, ჩოლოყაშვილის, რიონის, ოდილავაძის და ნიკურაძის ქუჩები.

ზემოთჩამოთვლილი სარემონტო სამუშაოები სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და დაიხარჯა 2 288 000 ლარი.

ამჟამად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საავტომობილო გზის მოხრეშვა-დაგრეიდერების სამუშაოები. გეგმის მიხედვით აღნიშნული სამუშაოები აგვისტოს შუა თვეში უნდა დასრულდეს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სოფლებში: დიდი ჯიხაიში, დაბლა გომი, იანეთი, მელაური, ეწრისა და ნაბაკევის თემებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 52 000 ლარს. გამსახურდიას მოედანზე არსებული ცხრა აპრილისა და ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია დასრულდა. სამუშაოთა ღირებულება 21 000 ლარს შეადგენს.

ზემოაღნიშნულ სამუშაოებს ტექნიკურ ზედამხედველობას უწევდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ავთანდილ ნაცვლიშვილი "სამტრედიის მაცნემ" მასთან კომენტარი ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩაწერა:

"ყველა სამუშაო ხორციელდება პროექტის მიხედვით და შემიძლია ვთქვა, რომ ცალკეული მათგანის შემთხვევაში დაცულია ხარისხი. მოგეხსენებათ მათი ნაწილი დაფინანსებულია როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან. 2016 წლისთვის გათვალისწინებული ყველა სამუშაო შესრულდება ვადაზე ადრე და ხარისხიანად".

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ქუთაისის შემდეგ

თეა ბაბუნაშვილი

კიდევ ერთხელ წარადგინა პრემიერმა ბიზნესმენი გია მიქელაძე მაჟორიტარ დეპუტატად. ამჯერად სამტრედიაში, რომელსაც ვანისა და ხონის მერე ეწვია და აქაურებს ის ადამიანი წარუდგინა, მათი ინტერესების პარლამენტში დაცვას მმართველი პარტიის კვოტით რომ აპირებს. პრემიერთან ერთად მშობლიურ რაიონს ვიცე-პრემიერი კახი კალაძე და პარლამენტარი ოთარ ჩრდილელიც ეწვივნენ სხვა სტუმრებთან ერთად.

"ქართული ოცნების" ოფისთან პარტიის მხარდამჭერები შეიკრიბნენ. თუმცა აქ გაკეთებულ განცხადებებში არაერთხელ ითქვა, რომ დასახელებული კანდიდატი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, ყველას უფლებადამცველი იქნება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში.

საზოგადოებას მიმართა ჯერ ისევ მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი კახიანმა.

თავად გია მიქელაძეს სამტრედიაში კარგად იცნობენ. მან ერთხელ უკვე მოსინჯა ძალები მაჟორიტარი კანდიდატის ამპლუაში. იგი "მოქალაქეთა კავშირის" მიერ გახლდათ დასახელებული კანდიდატად, თუმცა მაშინ მისი შესაძლებლობები "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა, ზვიად ძიძიგურმა გადასწონა. დღეს ზვიად ძიძიგურიცა და გია მიქელაძეც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენენ.

თავად დეპუტატობის კანდიდატი აცხადებს, რომ "რამდენიმე დღეში საარჩევნო კამპანიას დავიწყებთ. საზოგადოებასთან უფრო ახლო შეხვედრები მექნება მათ საჭიროებებში უკეთ გასარკვევად. თუმცა, ერთი შეხედვითვე ცხადია, სოციალური პრობლემების მოგვარება და დასაქმების საკითხის გადაჭრაა საზოგადოების პრიორიტეტი."

სამტრედიელი "ქართული ოცნება" საარჩევნო მარათონში გია მიქელაძის კანდიდატურით ჩაერთო. როგორც იმ დღეს იქ შეკრებილების უმრავლესობა აცხადებდა, ამ კანდიდატს კარგად იცნობენ და მისი სჯერათ.

სამცხეჯავახეთში 139 სოფელს შორის

საინფორმაციო სააგენტო "TOP NEWS" ავრცელებს ინფორმაციას, რომ საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის განხორციელებას უშუალოდ ქვეყნის ხელისუფლება კურირებს. პრემიერ მინისტრი აცხადებს, რომ პროგრამის მიხედვით უკვე გაწერილია სამოქმედო გეგმა, თუ როგორ შეიქმნას საქართველოში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელი 2000-ზე მეტი დასახელების ქალაქისა და სოფლისათვის."

პროექტი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით ხორციელდება და სოფლების ინტერნეტით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ღირებულება დაახლოებით 150 მილიონი დოლარია. მასში იმერეთის 139 სოფელია ჩართული. სამტრედიიდან ჭაგანი, დაბლა გომი, დაფნარი, ქვაყუდე, ხიბლარი, მიწაბოგირა, ჩხენიში, ნინუაკუთხე, გვიმრალა, ნიგორზღვა, ჭოგნარი მოხვდა სიაში.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი იწყება

ნინო ნანიტაშვილი

15 ივლისს დაიწყო და 21 ივლისს დასრულდა საარჩევნო განვითარების სკოლაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია, რომელიც ცესკოს ეგიდით მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ორი მსურველი გამოიკვეთა, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს ქუთაისის 59-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში, რათა გაევლოთ 10 დღიანი სწავლების კურსები.

ეს არ გახლავთ სიახლე, ცესკომ მსგავსი სწავლების კურსი 2015 წელშიც განახორციელა. ადამიანური რესურსი ძირითადად გათვლილია არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის, კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის, არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის და მასმედიისთვის. ამდენად, მათი მეშვეობით ამომრჩეველი უფრო ინფორმირებული ხდება საარჩევნო პროცედურებთან და პროცესებთან მიმართებაში შარშან სამტრედიიდან 6 მსმენელი იყო და 6-ივემ აიღო შესაბამისი სერთიფიკატი. როგორც შარშანდელი ტრენერი, საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრი, სოფიო დარჯანია აცხადებს, 6-ვე წარმატებული მსმენელი გახლდათ. მათგან 2-ის კი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატის მფლობელია, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივეს საარჩევნო სფეროში დაუბრკოლებლად დასაქმების საშუალება გააჩნია.

55. 54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია 3 აგვისტოდან აცხადებს საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრების ვაკანტურ ადგილებზე შესარჩევ კონკურსს. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს 18 წლიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამისთვის მსურველებმა უნდა მიმართონ საოლქო საარჩევნო კომისიის სამდივნოს. განცხადებების მიღების ბოლო ვადა 17 აგვისტოა. 23 აგვისტოს კი კონკურსის წესით საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრის 50-ივე უბანზე არჩევა მოხდება.

24 აგვისტოდან უფლებამოსილი პარტიები შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას.

ნანა იმნაძე, 55.54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: "პირველ ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის მოხდა საკურატორო უბნების განაწილება. ოლქის წევრების მიერ განხორციელდა მათი საკურატორო უბნების შენობა-ნაგებობების შესწავლა, თუ რამდენად ადაპტირებულია ისინი შშმ ამომრჩევლებისთვის. გაირკვა, რომ უმეტესობა უბნებისა არის ადაპტირებული. ნაწილი კი ადაპტირებას არ საჭიროებს. პირველი სხდომის გამართვა გათვალისწინებულია არჩევნებამდე 30 დღით ადრე. ამ დღისთვის კურატორების მიერ შესწავლილი ნაკლოვანებების განხილვა და არჩევნებამდე მათი შეძლებისდაგვარად გამოსწორება მოხდება".

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ვის ყნლა წასვლა ჰარლამენტში?

მოახლოებულმა საპარლამენტო არჩევნებმა კიდევ უფრო მაღლა ასწია პოლიტიკური ტემპერატურა. არჩევნებისთვის დამოუკიდებლად ემზადება რესპუბლიკური პარტია, რომელიც კოალიცია "ქართული ოცნების" პირველი პოლიტიკური სუბიექტი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენ, "რესპუბლიკელები" არცერთ ეტაპზე, არც კოალიციის ლიდერთან, ან კოალიციის სხვა პარტნიორებთან ხელგაწვდილი არ მივსულვართ იქნებ სადმე წაგვიყვანოთო. "რესპუბლიკური" პარტია თავად ბიძინა ივანიშვილმა მიიწვია პარტნიორად ძალიან მძიმე საქმეში, 2011 წელს, როგორც გამოცდილი, პრინციპული, სანდო, საიმედო პოლიტიკური ძალა. აი ასე მოვედით ჩვენ კოალიციაში და არავის დასაყვედრებელი არაფერი გვჭირს, არც შესვლის მომენტში, არც იქ ყოფნის დროს და არც ახლა, როცა კოალიციის გარეშე, დამოუკიდებლად ვაგრძელებთ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ჩვენ თავიდანვე ვიყავით მზად, რომ საქმე გვეკეთებინა ბოლომდე. "ოცნების" საქმე კი არა, "რესპუბლიკელების" საქმე კი არა, არამედ ქვეყნის საქმე. ჩვენი სამშობლოს, მისი უკეთესი მომავლის საქმე. "რესპუბლიკელები" კოალიციაში შევედით იმისთვის, რომ გვეშრომა ამ ქვეყნისთვის ჩვენს პარტნიორებთან ერთად. ჩვენ საქმის ბოლომდე კეთებისათვის ვიყავით კოალიციაში და არა რაც შეიძლება მალე წამოსვლისთვის ან საკუთარი პოზიციონირებისთვის. ზოგიერთმა პარტიამ უკვე დაასახელა თავიანთი კანდიდატები მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში, შესაბამისად მათი ვინაობა უკვე ყველასთვის ცნობილია. მჯერა, რომ სამტრედიელები მხარს ღირსეულ, პრინციპულ და განათლებულ კანდიდატს დაუჭერენ, რომელსაც მოუწევს ძალიან მძიმე მუშაობა ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში. განსაკუთრებით გამოვყოფდი დეპუტატობის მსურველ მილიონერ კანდიდატებს, რომლებიც, ხელისუფლების წყალობით, საკმაოდ მოგვიმრავლდნენ, ჩვენი, უსულგულოდ გაღატაკებული ქვეყნის მილიონერები საკუთარ გადაწყვეტილებას წავიდნენ საკანონმდებლო ორგანოში ხსნიან იმით, რომ ოცნებობენ ააგუგუნონ ქარხნები და ფაბრიკები, შექმნან სამუშაო ადგილები და რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაასაქმონ. თუმცა ქარხნების და ფაბრიკების ამუშავებას პარლამენტში ყოფნა რაში სჭირდება, ამაზე ბუნდოვანი პასუხიც კი არ აქვთ. ეჭვი მაქვს, რომ ასეთი ტიპის და კატეგორიის ადამიანები განსაკუთრებული კომპლექსებით არიან დაავადებულნი, ეს არის სკამის, თანამდებობის, VIP-ი პერსონად გადაქცევის ერთგვარი მანია. აქვთ განცდა, რომ ამ დაქცეულ ქვეყანაში ფული ყველაზე მთავარი ატრიბუტია, ფულით შეიძლება იყიდო ყველაფერი და ყველა ფერი: _ ლამაზი და ძვირიანი ნივთებით დაწყებული, საკუთარი რეპუტაციის, ადამიანების კეთილგანწყობის, მათი ხმების, ხელისუფლების ფაქტიური და ფიქტიური მმართველების მხარდაჭერით დამთავრებული. ასე, ნაყიდი ხმებით და გაურკვეველი პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები ხვდებიან კიდეც პარლამენტში, სადაც მოუწევთ კანონების წერა, ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის განსაზღვრა, პოლიტიკური გათვლების და ანალიზის კეთება, ქვეყნის მოწყობაზე, თვითმმართველობის როლზე, თავდაცვითუნარიანობის გაზრდაზე, შსს-ს დეპოლიტიზაციაზე, ბიუჯეტის პრიორიტეტებზე, საპენსიო სისტემაზე, განათლების რეფორმაზე, მოსმენებზე, ადამიანის უფლებებზე, ეკონომიკურ სტაბილურობაზე დებატები, აზრების კვალიფიციურად გამოთქმა და იდეების კონკურენცია, კონსესუსებზე წასვლა და საბოლოოდ ყველაფერ ამის ქაღალდზე გადატანა, კანონად ქცევა და მისი ცხოვრებაში გატარება. და ამ დროს სად არიან ჩვენი არჩეული მილიონერები?! მათთვის პოლიტიკა და ყველა ეს თემა უცხო, ბუნდოვანი და გაუგებარია, ისინი თავიდანვე ხდებიან პარლამენტის უსახური მასის ნაწილი, რომლებიც ვერ შედიან კვალიფიციურ დებატებში პოლიტიკოსებთან, არ გამოირჩევიან იდეებით და კრეატიულობით, არ იციან კანონშემოქმედებითი მუშაობა. უკვე თავადაც მიხვდებიან, რომ ნამდვილ გაუგებრობაში მოხვდნენ, სკამის და ძალაუფლებისადმი ლტოლვამ მოახვედრათ იქ, სადაც ღირებულს ვერაფერს ქმნიან, სადაც მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულს უტოლდება. აი სწორედ ეს არის მილიონერების კაპრიზი გახდნენ "ხალხის რჩეულები", პარლამენტარის სტატუსს კი აუცილებლად გამოიყენებენ საკუთარი ბიზნესების ლობირებაში, ფინანსური რესურსების არითმეტიკული პროგრესიის პრინციპით გაზრდაში. მათ ხომ ეს აინტერესებთ კიდეც, მათ ხომ რეალურად მხოლოდ ეს იციან და სხვა არც არაფერი ხიბლავთ. მერწმუნეთ, ისინი ვისაც ახლა ფულით გიყიდიან, მალე, თქვენივე მყიდველები ისევ ფულზე გაგყიდიან, რამეთუ ეს ყოველთვის ასე ხდებოდა და მომავალშიც ასე გაგრძელდება... როგორც ამბობენ, პოლიტიკაში არ არსებობს მუდმივი მეგობრები, თუმცა მართლა მაინტერესებს, ვინ უფრო მაგრად "გააპრავებს" ქართული პარლამენტარიზმის ამომავალ თუ უკვე მბჟუტავ ვარსკვლავებს, მრავალ პარტია და პატრონ გამოცვლილი ფულიან ბიძიებს, რომლებსაც გუშინ, "ფულის ტომრებს" და შევარდნაძის "კასირებს" ეძახდნენ, მოგვიანებით კი ხელაპყრობილი წყევლიდნენ და მიშას კუბოში აწვენდნენ...

საინტერესოა, აბა, რომელი მოხსნით ვაზელინის რეკორდს, ვინ იქნება პირველი პირველთა შორის, ვინ ვის გადაუჯოკრავთ კუდის ქიცინში და თვალთმაქცობაში, ვინ აპირებთ, სარფიანად იხეიროთ ქვეყნის მომავლის ხარჯზე?! აბა თქვენ იცით, ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი მოსულა, პრინციპში, ამ ქალაქშიც...

იმედა გოგაცა
"რესპუბლიკური" პარტიის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

მიმდინარეობს ვაქცინაცია

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო პროგრამით განხორციელდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია.

ჯილეხზე ვაქცინირებულია 5402 მსხვილფეხა და 497 წვრილფეხა პირუტყვი.

თურქულზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაახლოებით 12 000-მდე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვია ვაქცინირებული. ამჟამად მიმდინარეობს ძაღლებისა და კატების ვაქცინაცია ცოფზე.

ინფორმაცია "სამტრედიის მაცნეს" სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორმა ბატონმა გიგა გელოვანმა მიაწოდა.

ლევან გაბეჩავა

ოპოზიცია? ანა, გულისცემილი...

ლევან გაბეჩავა

კომუნისტების დროს რაიონის ხელმძღვანელი სოფლის თავკაცთან ერთად სოფელს ათვალიერებდა თურმე, უცებ ხალხს ჭარმაგი გლეხი გამოეყო და რაიონის ხელმძღვანელს მიმართა: ბოდიში ბატონო, ხიდი წეიღო წყალმა და გაგვიკეთოთ იწნებო.

მე რატომ მეუბნებით, აგერ არ არის სოფლის თავი?!

თავი ლურსმანსაც აქვს, მარა ჩაქუჩი თუ არ დაარტყი არ წავა! მიუგო გლეხკაცმა რაიონის თავკაცს.

და მაინც, რა შუაშია ამ ამბის აქ მოტანა იფიქრებს მკითხველი უეჭველად.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო 10-15, კიდევ მეტი წელია, რაც ჩვენს დაბა-სოფლებში გარდა სახელმწიფო პროგრამებით შესასრულებელი სამუშაოებისა არაფერი კეთდება.

ეკალ-ბარდით დაფარული შიდასასოფლო გზების მიმდებარე ადგილები, გაჩეხილი ტყეები, საოჯახო საყოფაცხოვრებო ნაგვით დაბინძურებული საწრეტები, არხები, ღელე-მდინარეები, მოუწესრიგებელი ადგილები მრავლადაა დაბასა, თუ სოფლებში...

ერთი სიტყვით, არ იგრძნობა პირადი ინიციატივის ძალა, ჯიუტად გვწამს, რომ ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, როგორებიცაა სარეველების მოსპობა, უკეთ მოვლილი კარ-მიდამოს გამოვლენა და მისი მესაკუთრის წახალისება, საწრეტების წესრიგში მოყვანა, გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხრიოკი ადგილების გამწვანება, თემის, სოფლის, დაბის ფარგლებში საინიციატივო ჯგუფების შექმნა, ახალგაზრდების დარაზმვა ისევ და ისევ სოფლის საკეთილდღეოდ ძნელი და მიუღწეველი არ უნდა იყოს, მთავარია საქმის გულთან ახლოს მიტანა.

თუ ვინმეს "შაბათობა" კომუნისტურ ყოფას აგონებს, არაა პრობლემა, ხალხის შეკრება კეთილ საქმეთა საკეთებლად კვირის ნებისმიერ დღესაა შესაძლებელი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ აკლია მზრუნველი ხელი ჩვენ დაბა-სოფლებს, ყოველი ფეხის გადადგმისას თვალშისაცემია ეს.

არ გვაქვს პრეტენზია წერილის დასაწყისში მოთხრობილი რამდენადმე ღიმილის მომგვრელი ნაამბობიდან გამომდინარე, "ჩაქუჩის როლი" შევასრულოთ, მაგრამ მოკრძალებით ნამდვილად აღვნიშნავთ: მეტი ინიციატივაა საჭირო ცალკეულ სოფლებში, დაბაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებისაგან.

თუ ვინმეს სადავოდ მოეჩვენება ჩვენი შენიშვნა ჯერ სოფლები შემოიაროს და მერე შემოგვედავოს.

აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

თეა ბაბუნაშვილი

მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული სახლის ერთ-ერთ ფლიგელში ჭერის ჩამოვარდნა ლამის დამბრალდა, ძალიან ჭკვიანი და წინდახედული ადამიანი, ჩუმად იქნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მე მე არ ვიქნებოდი! ამჯერადაც "აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!" მით უმეტეს, მოულოდნელი არ იქნება იმგვარი რეაქციები იმ "კომპეტენტური" პირებისგან, ერთხელ უკვე რომ გამოავლინეს. ერთი სიტყვით მაგრადა ვდგავარ და კიდევ ერთ კადრს ვაქვეყნებ, ამჯერად ხელოვანთა დარბაზში გადაღებულს.

ვაჟა აზარაშვილის კონცერტის პარალელურად დარბაზში ისე წვიმდა, როგორც გარეთ! იქნებ მეტი თვალსაჩინოებისთვის, რადგან ცნობილი კომპოზიტორის პირველივე სიმღერა წვიმას ეძღვნებოდა. იატაკის იმ ნაწილის მიმდებარედ, რომელიც სახურავიდან ჩამოსულ წყალს კარგა ხანია დაელპო და გაეფუჭებია, არაერთი პასუხისმგებელი პირი იჯდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ტაშს პროფესიონალურად შესრულებულ სიმღერებს უკრავდა. ცოტა ხნის წინ აქ გამართულ სიმფონიური მუსიკის კონცერტზე, ობის სოკოს მოეთეთრებია ეს ადგილი. მაშინაც ბევრი აღშფოთდა, მანამდეც არაერთხელ, თუმცა, "დღესაც ისე წვიმს, წვიმს როგორც მაშინ"...

სანამ კიდევ ერთხელ "შემაშველებდეთ" ნიშნისმოგებით, "ნაციონალების" დროს სად იყავიო, დაგასწრებთ და შეგაგებებთ: აქ ვიყავი და ისეთი ვიყავი როგორიც დღეს ვარ, არც ფერი მიცვლია და არც შეხედულებები. მეტიც, ფერშეცვლილებს ადვილად ვცნობ! ადგილობრივ ხელისუფლებაში "ნაციონალები" სამი წლის წინ დავიწყებული ძველია!

და სანამ დარბაზში წვიმს, იმაზეც, რომ ჩამოვარდნილი ჭერი თავიდან ვეღარ ჩამოვარდება ადმინისტრაციული სახლის იმ ფლიგელში, ჩვენი რედაქციის მიმდებარედ, რადგან პირველი აჟიოტაჟის და იმის დადგენის შემდეგ, რამდენი მქონდა წნევა მისი ჩამოვარდნის პროცესში, სამუშაოების დაწყებას არავინ ჩქარობს კი არა, ლამობს. კარი კი, კარი გამოიკეტა!

ვნახოთ ამჟამად თუ ავიცრძალები როგორც ჟურნალისტი. ისე ყველაფრისთვის მზად ვარ და ეს მხოლოდ ახლა კი არა, 1997 წლიდან, ანუ უკვე 19 წელია!

ჰო, აქვე, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, წინა ხელისუფლების პირობებში ეს წერილი არ დაიბეჭდებოდა! თუმცა, აღუნიშნავს ვერც მსგავსის დაბეჭდვას მოყოლილ რეაქციებს დავტოვებთ, ეს იმ შემთხვევაში, როცა ფაქტი სადავო არაა.

წერილს, ვაჟა აზარაშვილის იუბილეისადმი მიძღვნილს, ჩვენს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. ამ რეპლიკის დაბეჭდვა წვიმის წვეთების გაშრობამდე ვიჩქარეთ.

მაშ ასე, ხელოვანთა დარბაზი, 2016 წლის 28 ივლისი.

ჩვენში მათრახს ვინ აკაღრებს თეთრონს

არც გვიკადრებია, უბრალოდ ძველი დრო გაგვახსენდა ქალაქში პირუტყვი არხეინად რომ გრძნობდა თავს.

22 ივლისს დილის 9 საათზე აღბეჭდა ობიექტივმა ეს კადრები წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქალაქი რომ იდეალურად სუფთავდება ბოლო წლებია, ამის არ აღნიშვნა და დაუნახაობა უმადურობა და უტიფრობა იქნება, მაგრამ ქალაქის ეს ცენტრალური ნაწილი რატომღაც წლის ამ დროს ყოველთვის სარეველებით რომაა დაფარული ფოტოდანაც სჩანს.

ჰოდა რა ცხენების ბრალია, საკვების მოსაპოვებლად შორს არ დასჭირვებიათ წასვლა, მშობლიურ ქალაქში დანაყრდნენ.

ხუმრობა იქეთ იყოს და არაა ლამაზი ქალაქის შუაგულში არც ცხენების, არც სარეველას ხილვა!..

ლევან გაბეჩავა

ხელისუფლებამ სპორტსმენებს მხარი დაჭერა ვერ უთჭვა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის წარმატებულ და საუკეთესო სპორტსმენებს შეხვედრა მოუწყვეს. ამჯერად დარბაზში ისხდნენ სამტრედიის მინი ფეხბურთის კლუბ "სამტრედიას" და კიოკუშინკაი კარატეს წარმომადგენლები. ახლახან ყაზახეთში გაიმართა 18 წლამდე სპორტსმენთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში, სადაც სამტრედიელმა მარი გოგიტაურმა მოიპოვა მეოთხე ადგილი და 8 საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვდა. მინი ფეხბურთის გუნდი "სამტრედია" კი პრესტიჟული შეჯიბრიდან ვიცე-ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. სწორედ ამ სპორტსმენებს წარმატებები მიულოცეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ და კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორმა ივანე კილტავამ. ხელისუფლების წარმომადგენელთაგან მილოცვებს ღებულობდა მიხეილ ქანთარია, რომელსაც ახლახან სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ. როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტის სფეროს თავკაცებმა განაცხადეს, მსგავსი ტიტულის მფლობელი სამტრედიაში არის მხოლოდ მიხეილ ქანთარია. კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორმა, ივანე კილტავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა:

"მოგეხსენებათ, ჩვენ აქტიურად ვიბრძვით, ვშრომობთ, წარმატებასაც ვაღწევთ, ასეთი შეხვედრა არაერთი გვქონია, ვამაყობთ წარმატებებით, ჩვენმა მინი ფეხბურთის გუნდმა წარმატებით იასპარეზა სუპერლიგის ტურნირზე, სადაც მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ. ისინი დაჯილდოვდნენ თანხით და სიგელებით, დღეს რამდენიმე მოთამაშე სახეზეა დარბაზში, მინდა მივულოცო ეს დიდი გამარჯვება, ვუსურვო მომავალი წარმატებები. ასევე მინდა ვისაუბრო მიხეილ ქანთარიას ღვაწლზე, ის სამტრედიაში სათავეში უდგას კიოკუშინკაი კარატეს, ამჯერად მან მოიპოვა ყველაზე დიდი წოდება, რაც კი არსებობს სპორტულ სამყაროში. უნდა აღვნიშნო მისი მოსწავლეების წარმატებებიც: ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა თბილისში, სადაც ჩვენი სკოლის აღსაზრდელმა, უამრავი წარმატების მქონე გოგონამ თამარ ბიბილეიშვილმა მესამე ადგილი მოიპოვა, ის დღეს არ გვესწრება და დაუსწრებლად ვულოცავთ მას. აპრილ-მაისში თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი, სადაც გვასახელეს ჩვენმა გოგონებმა. ესენი არიან პირველ ადგილზე გასული მანანა მუქერია, მეორე ადგილზე _ მარიამ გოგიტაური, მესამეზე _ თამარ გვახარია. ახლახან ყაზახეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში სადაც 14 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, საუკეთესო 8 ადგილს შორის მე-4 ადგილი ჩვენ ავიღეთ, ესეც კარგი შედეგია ჩვენთვის. აი ასე ვაპირებთ მომავალშიც. ახლა ჩვენი მოჭადრაკეები იმყოფებიან ბათუმში, სადაც ტარდება ჩემპიონატი. გვაქვს ინფორმაცია, რომ კარგად თამაშობენ, ერთი სიტყვით, ჩვენი სპორტის სახეობები, რასაც ვუდგევართ სათავეში წარმატებებს აღწევენ. ვიმედოვნებთ, მომავალშიც დიდ წარმატებებს მივაღწევთ".

მინი ფეხბურთის გუნდ სამტრედიის "სამტრედიას" მწვრთნელ-მოთამაშე, მალხაზ მხეიძე;

"შევიჯიბეთ მარტის დასაწყისში, საქართველოს პირველობაზე მივიღეთ მონაწილეობა, რომელიც გაიმართა თბილისში. ვვარჯიშობდით სამტრედიის სტადიონის დახურულ დარბაზში, მონაწილეობა რომ მიგვეღო ამ ტურნირში, ფინანსურად დაგვეხმარა მუნიციპალიტეტის გამგებელი, მეორე ადგილზე გავედით. ამ გუნდის შექმნის იდეა ერთ კარგ სამტრედიელს, გიგა ჩაჩუას გავუმხილე, რომელიც გვერდით დამიდგა და ძალიან დამეხმარა. ის ამჯერად სამტრედიის საცურაო აუზის დირექტორის მოადგილედ მუშაობს, გიგა დაგვიდგა გვერდით, გაგვაკეთებინა გუნდი. ჩვენც არ შევრცხვით. ვიმედოვნებთ, მომავალში უკეთეს შედეგს მივაღწევთ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია:

შეიძლება ითქვას, ჩვენი ქალაქი სპორტული ცხოვრებით ცხოვრობს, ბევრ დიდ ქალაქს შეშურდება ისეთი სპორტსმენები, ჩვენ რომ გვყავს. არ შეიძლება არ ვახსენოთ ჩვენი მოჭიდავეები, ფრენბურთელები. გილოცავთ მალხაზ ვიცე-ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ გაისად მეორე ადგილი არ ჩაითველება წარმატებულად, ვეცდებით, გვერდით დაგიდგეთ და თქვენგან ყოველთვის მაღალ შედეგებს ველით. ასევე მადლობა მინდა გითხრათ ბატონო მიხეილ, თქვენი შრომა ფასდება".

მწვრთნელებს და სპორტსმენებს მადლობა გადაუხადეს ასევე გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა, კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ, თვამჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა და სპორტსკოლის სპეციალისტმა რამაზ თელიამ. ბოლოს სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

ტენდერი გამოცხადდა...

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 20 ივლისს ტენდერი გამოაცხადა შემდეგ სამუშაოებზე: პირველი _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამოღმა ზონის სოფლებში არხისა და ბოგირის მოწყობის სამუშაოებზე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 26 282 ლარი. წინადადების მიღება 27 ივლისს დასრულდა.

მეორე _ დიდი ჯიხაიშის, იანეთის და ბაშის თემებში შენობების სარემონტო სამუშაოებზე სავარაუდო ღირებულებით 43 862 ლარი. წინადადებების მიღების ვადა ამ შემთხვევაშიც 27 ივლისს დასრულდა.

მესამე _ ეწრის, მელაურის, ნაბაკევის და ღანირის თემებში შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით 23 152 ლარი. აქაც 27 ივლისს დამთავრდა წინადადებების მიღება.

მეოთხე გომისა და საჯავახოს თემებში შენობის სარემონტო სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 22 062 ლარი. 27 ივლისს დასრულდა წინადადებების მიღება.

მეხუთე _ დაბა კულაშში ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები, სავარაუდო ღირებულებით 32 608 ლარი.

მეექვსე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფლებში შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით 27 896 ლარი.

მეშვიდე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები, სავარაუდო ღირებულებით 21 403 ლარი.

მერვე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გალმა ზონის სოფლებში არხებისა და ბოგირების მოწყობის სამუშაოები, სავარაუდო ღირებულება 15 946 ლარი.

19 ივლისს ტენდერი გამოცხადდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მელაურის თემში, ყოფილი "მოსკვიჩების" მაღაზიამდე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოებზე. მას რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს, სავარაუდო ღირებულება 209 000 ლარია. ტენდერი 9 აგვისტოს მთავრდება.

ნინო ნანიტაშვილი

ფოტო ისტორიას ჰყვება

სასიქადულო მამულიშვილები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბენედიქტე (ბენო) ბალავძე და ლეგენდარული ფალავანი ვახტანგ ბალავაძე მშობლიურ სამტრედიას, სოფელ ღანირს ხშირად სტუმრობდნენ.

მათი ყოველი ჩამობრძანება რასაკვირველია, ერთი სკოლის, სოფლის ფარგლებს იმთავითვე სცილდებოდა და საერთო სახალხო ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე.

სურათზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ **რომან ბექაიას** მიერ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარშია გადაღებული, ბატონები ბენედიქტე და ვახტანგ ბალავაძეები არიან აღბეჭდილნი სოფელ ღანირში სტუმრობისას.

ლევან გაბეჩავა

8 ღღის ღინ, 8 აგვისტის...

ლევან გაბეჩავა

ისევ რუსული აგრესიის სამიზნე გახდა სუვერენული საქართველო და ქართველი ერი.

ისევ ისე, როგორც 1921, 1924, 1956, 1989... წლებში, ამჯერადაც ერთმორწმუნე ჩრდილოელმა ძმამ დაარღვია უხეშად ყოველგვარი ზნეობრივი წესები, რომ არაფერი ვთქვათ საყოველთაოდ აღიარებულ საკანონმდებლო საერთაშორისო აქტებზე და დაბომბა საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი.

იყო მსხვერპლი.

მიწასთან გასწორდა საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი ობიექტები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, გაჩნდნენ ახალი დევნილები.

რაც ყველაზე მეტად ამაზრზენი და მოუთმენელია, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის მოცულობა გაიზარდა...

დროის სვლასთან ერთად ბრძოლის ტაქტიკასა და მეთოდებს მზაკვრულად ნიღბავს რუსეთი, თუმცა...

ძაღლის ენას უწოდებდნენ ხმატკბილ ქართულს ერთი ხანობა, ქართულ გალობას კი, ძაღლის ყეფას.

მერე, 1924 წლის აგვისტოში სასულიერო და საერო უდანაშაულო პირები დაგვიხოცეს რუსების მიერ წაქეზებულმა ვაი ქართველებმა.

1956 წლის მარტში მტკვარი ქართველი ახალგაზრდების სისხლით წითლად შეგვიღებეს.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დარბევა და მსხვერპლიც რუსეთის კისერზეა.

მართალია 9 აპრილის მოვლენები საბჭოეთის დასასრულის დასაწყისად იქცა და გაცამტვერდა კიდეც ბოროტების იმპერია, მაგრამ რუსეთი რუსეთობას არ იშლის და...

არამც და არამც არ გვინდა ერთმანეთში ავურიოთ, ერთ კონტექსტში განვიხილოთ პუშკინის, ლერმონტოვისა და პუტინის, ელენე გოგოლევას, მიხეილ ზაიცევისა და მედვედევის რუსეთი.

რუსი წმინდანის სერაფიმ საროველის ბრძნული სიტყვები ხმიანდება გონებაში: "მოეშვით საქართველოს, ქართველ ერს, უფალი არ გვაპატიებს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის, ღვთისმოსავი ერის შევიწროებასო".

2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა, რომელიც ისტორიაში ამ კოდით შევიდა: 08.08.08 აურაცხელი უბედურება სულიერი, მატერიალური და მორალური ზარალი მოუტანა საქართველოს.

ისევ სისხლი, უმანკო...

ისევ ცრემლი, მდუღარე...

ისევ შაოსანი დედები, გოდება...

დაკარგული ტერიტორიები, ახალი დევნილები...

აუცილებელია აღნიშნოს, რომ აგვისტოს ომმა, როგორც ყოველთვის ერთ მუშტად შეკრა ქვეყანა.

თავგამეტებით იბრძოდნენ ქართველი ახალგაზრდები. გმირობის, თავგანწირვის, თავდადების არნახული მაგალითი უჩვენეს მათ ქვეყანას.

ისევ ისე გმირულად იბრძოლეს ხუთჯვრიანი დროშის ქვეშ ქართველებმა აგვისტოს ომში, როგორც მათებრ გულანთებულმა გმირებმა, ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა გორგასლიან, დავითიან, თამარიანი დროშის ქვეშ.

საერთაშორისო თანამეგობრობამ ერთსულოვნად დაგმო რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა, აგრესია საქართველოს მიმართ.

უფრო მეტიც, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებმა, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს და ომის მიმდინარეობისას საქართველოში, კონფლიქტურ ზონაში ჩამოვიდნენ.

სოლიდარობის შესანიშნავი გამოხატულებაა.

სისხლის, ცრემლის, ნგრევის გარეშე ომი არავის გაუგონია და აგვისტოს ომმაც "უხვად მოგვიტანა სისხლი და ცხედრები".

მერამდენედ, მერამდენედ, მერამდენედ ატირდა ქართლის დედა.

შავი ჩაიცვეს დედებმა.

დარდს გულში იკლავენ ბედშავი მამები.

დაობლდნენ პაწია ქართველები.

საქართველოსთვის წამებულ გმირთა თანავარსკვლავედს კი ახალი სახელები შეემატა:

ლაშა თევზაძე.
ლევან მელქაძე.
მარლენ ბარამია.
ავედიკ ლომიძე.
ლევან კოხრეიძე.
მიხეილ დვალიშვილი.
...
...

გმირები არიან ისინი, ჩვენი დროის გმირები.

რუს ოკუპანტებს გამეტებით ებრძოდნენ ქართველები ერთ შენობაში გამაგრებულნი.

მათმა გმირობამ რუს ოფიცრებს ქუდი მოახდევინა და ათქმევინა: მთელი პოლკი მებრძოდა მეგონაო, არადა 17 იყვნენ მხოლოდ.

თითოეულს შინდისის გმირად, ყველას ერთად კი შინდისელ გმირებად ვიხსენებთ დღეს და უკვე მათი გმირული აღსასრულიდანვე მათივე გმირობის მაგალითზე ვზრდით პატარა ქართველებს.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა იმთავითვე უკვდავჰყვეს აგვისტოს გმირების ხსოვნა.

შინდისში კი, იქ სადაც შინდისის გმირები გმირებად იშვნენ, მათ საფლავებთან ახლოს მერცხლებს ბუდე გაუმართავთ, სიცოცხლე გრძელდება...

8 აგვისტოს ისევ შეიკრიბებიან ქვეყნის მასშტაბით და კვლავ მიაგებენ, პატივს ჩვენი დროის გმირებს, მათ, რომლებმაც ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე მიიტანეს საყვარელი სამშობლოს სამსხვერპლოზე.

გმირებს არ ივიწყებენ ჩვენში.

სამარადისო დიდება გმირებს!

ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს!

8 მე _ტექსტი _ტოხი _ტოხისტი

ლევან გაბეჩავა

რა წყალს მივცე თავიო _ გაუმაძღარი ჩაფარ-იასაულებისაგან შევიწროებულმა გურულმა გლეხკაცმა, როდემდი გავუძლო მშიერი ცოლ-შვილის ტანჯვასო და თავად მისცა თავი წყალს.

მეორემ კი, მეორემ თავი მატარებელს დაუდო და ასე, ამრიგად გამოხატა მაშინდელი რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტი.

მათგან განსხვავებით, მესამემ, ისევ გურულმა თვით ჩაფარ-მამასახლისზე აღმართა ხელი და სიცოცხლეს გამოასალმა იგი.

ჯავრი იყარა...

თავად კი ტყეს შეაფარა თავი.

დროის სვლასთან ერთად იცვლებოდა პროტესტანტთა ბრძოლის მეთოდები, ტაქტიკა.

ხშირად ერთი, ზოგჯერაც კი რამდენიმე ადამიანი გამხდარა ტერაქტის მსხვერპლი იმ განსხვავებით, რომ მაშინ, წინა საუკუნეებში ეს სიტყვა არ არსებობდა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს ამას.

სხვადასხვა დროს ტერორისტთა ტყვიასა თუ ხმალს ემსხვერპლნენ სპარსეთის შაჰთა, აბასიანთა არა ერთი წარმომადგენელი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, საბჭოეთის ბელადი ვლადიმერ ლენინი თავდამსხმელის ტყვიით მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა თავდასხმიდან ორი წლის შემდეგ 54 წლისა.

თუმცა, მარტო სახელმწიფო მოხელეები როდი იყვნენ და არიან ტერორისტთა სამიზნე.

შორს რომ არ წავიდეთ, წლების წინ 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტერორისტული დაჯგუფება "ალქაიდას" მიერ განხორციელებული ტერაქტიც კმარა, რომლის უკანაც მსოფლიოს პირველ ტერორისტად აღიარებული უსამა ბინლადენი იდგა.

მერე იყო ბესლანი...

თურქეთი...

გერმანია...

ავღანეთი.

ივლისში მსოფლიო შეაძრწუნა წამყვან სახელმწიფოებში: საფრანგეთი, თურქეთი, გერმანია, განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა ტერაქტებმა, რომლის დროსაც ასობით და ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა.

ასიათასობით ადამიანმა მორალურ-ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო.

სამწუხარო, ამაზრზენი, საოცარი და დასაგმობია ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა ძალისხმევის მიუხედავად, ითანამშრომლონ ერთმანეთთან ტერორიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის მიზნით, ჯერ-ჯერობით მყარი შედეგი არ მოჰყოლია.

ისევ და ისევ გახშირებული ტერაქტები გვაძლევს ამ განცხადების გაკეთების საბაბს.

ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას!

აგრესიას!

ტერორს!

ტერორიზმს!

“სამტრედიის კლინიკაში სიკვდილისგან ბენზეზე გადაარჩინეს “



ნინო ნანიტაშვილი

გასულ კვირას ჩვენი ქვეყანა საზარელმა ავტოკატასტროფამ შეძრა, რომელსაც მთელი საქართველო დღემდე გულშემატკივრობს.

საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ორი ავტომობილის შეჯახებამ ბევრი ადამიანის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ავარიაში მოყვნენ მორაგბეები და მათი ახლობლები, რომლებიც გადარჩენისთვის იბრძვიან. სამწუხაროდ ეს ავარია სამი ახალგაზრდისთვის ფატალური აღმოჩნდა.

სტატისტიკის მიხედვით საქართველო პირველია ევროპაში ავტოსაგზაო შემთხვევების მიმართულებით. არ გავა წელი, ასობით ადამიანი არ დაიღუპოს, განსაკუთრებით მათი რაოდენობა იზრდება ზაფხულობით, როცა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გახშირებულია დამსვენებელთა გადაადგილება.

ერთ-ერთი ასეთი გამოდგა 21 ივლისს, დღის მეორე ნახევარში მომხდარი ავტოკატასტროფა, რომელიც ე. წ. სამტრედია-ქუთაისის შემოვლითი, ახალ მაგისტრალზე დაფიქსირდა. ტერიტორია ეკუთვნის წყალტუბოს მუნიციპალიტეტს.

მარჯვენა საჭიანი ნისანის მარკის ჯიპი დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობდა, როცა მას BMW მარკის, თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრავი ავტომობილი შეეჯახა. ორივე ავტომანქანა გადამეტებული სიჩქარით მოძრაობდა. წინასწარი ინფორმაციით BMW მძღოლმა ვერ დაიმორჩილა საჭე და გადავიდა საპირისპირო ზოლში, სადაც ასევე დიდი სიჩქარით მოძრავ ავტომანქანას დაეჯახა.

ავარიას სამი ახალგაზრდა ემსხვერპლა. ოთხის მდგომარეობა მძიმეა, მათ შორის ორი მორაგბეა. ოფიციალური ინფორმაციით ავარია გადაჭარბებულმა სიჩქარემ გამოიწვია, თუმცა შესაძლოა, იყოს სხვა მიზეზიც: გამოყოფილი ბარიერის არ არსებობა.

იმ დღეს ქუთაისის მედიცინის ინტერვენციულ ცენტრში 2 პაციენტი მიიყვანეს, სპორტსმენები: 32 წლის მერაბ კვირიკაშვილი და 26 წლის გიორგი ლომინაძე, რომელმაც სერიოზული დაზიანება მიიღო. შემთხვევის ადგილიდან ანანო ბუაძე სასწარაფო დახმარების მანქანამ სამტრედიის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანა, სადაც მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

გახმაურებულ ავტოსაგზაო შემთხვევას ამ დღეებში ყველა საინფორმაციო საშუალება გამოეხმაურა. ტრაგედიის ფონზე უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა სამტრედიის სამედიცინო ცენტრზე. ჟურნალისტები სატელევიზიო, პირდაპირ ჩართვებში თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტების სიტყვებს იმეორებდნენ, რომ “რაგბისტების მანქანაში ყველაზე რთული იყო ანანო ბუაძის მდგომარეობა, რომელიც, როგორც გვითხრეს, სამტრედიის კლინიკაში ბენზეზე გადაარჩინეს სიკვდილისგან”.

21 ივლისს სამტრედიის სამედიცინო ცენტრში თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ვინ იყო კონკრეტული ექიმი, ვინც დანარჩენ მედპერსონალთან ერთად ანანო ბუაძე სიკვდილისგან იხსნა, “სამტრედიის მაცნე” ამ კითხვებზე პასუხისთვის ამ დღეებში ჯეოჰოსპიტალსის სამტრედიის სამედიცინო ცენტრში მივიდა.

კობა ქაჯაია, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, კრიტიკული მედიცინის სპეციალისტი, ბავშვთა ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი სამტრედიის სამედიცინო ცენტრში რეანიმაციული განყოფილების სამსახურს მე-3 თვეა ხელმძღვანელობს. იგი სამტრედიაში სპეციალური მოწვევით იქნა გადმოყვანილი.

კობა ქაჯაიამ 20 წელი ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში იმუშავა. როცა ჯეოჰოსპიტალსის ქსელი შეიქმნა, იგი ბაღდათის სამედიცინო ცენტრში შეუდგა მოღვაწეობას. პარალელურად იმავე ქსელში მუშაობდა რეფერალად ბავშვთა ანესთეზიოლოგ-რეანიმაციის კუთხით.

21 ივლისს კობა ქაჯაია ასე იხსენებს: “ავარიის შედეგად დაზარალებული ანანო ბუაძე სამტრედიის სამედიცინო ცენტრში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში შემოიყვანეს. პაციენტი კონტაქტში არ შემოდიოდა, მტკივნეულ-გაღიზიანებაზე არ რეაგირებდა. სახეზე, ტანზე და კიდურებზე აღენიშნებოდა მრავლობითი მოტეხილობები. კერძოდ, სახის ყველა ძვალი დაფშვნილი ჰქონდა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, ბარძაყის და წვივის დახურული მოტეხილობა, იდაყვის სახსრის ღია მოტეხილობა.

შემოსვლისას პაციენტს აღენიშნებოდა სუნთქვის პრობლემები, პულსი და წნევა არ ისინჯებოდა. ასევე აღენიშნებოდა ტრამჰემორაგიული შოკი, რის გამოც პაციენტს სასწრაფოდ ჩაუტარდა შემდეგი სამედიცინო ღონისძიებები: სასწრაფოდ იქნა იგი გადაყვანილი მართვით სუნთქვაზე, პერიფერიულ და ცენტრალურ მაგისტრალებში დაედგა სისტემები, სასწრაფოდ იქნა დაწყებული სითხის დეფიციტის შევსება.

ანანო ბუაძე 2 საათნახევარში შოკიდან იქნა გამოყვანილი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოხდა წნევის სტაბილიზაცია, მიღებული იქნა შარდი. ავადმყოფი კვლავ მართვით სუნთქვაზე რჩებოდა.

22 ივლისს დილით პაციენტი ნახული იქნა თბილისიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ, რომლებიც გაოცებულები დარჩნენ მსგავსი სიმძიმის ავადმყოფი სტაბილურ მდგომარეობაში რომ იმყოფებოდა. სწორედ თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტების მხრიდან გაჟღერდა ის, რომ სამტრედიის კლინიკამ კვალიფიციურად მოახერხა უმძიმესი, პრაქტიკულად უიმედო ავადმყოფის მართვა და მისი კრიტიკული მდგომარეობიდან გამოყვანა “.

ანანო ბუაძე 22 ივლისს დილის საათებში გადაყვანილი იქნა ქუთაისის რეფერალურ საავადმყოფოში, სადაც გაგრძელდა შემდგომი მკურნალობა. როგორც ცენტრში მისულს მითხრეს, მძიმე, უიმედო მდგომარეობაში მყოფი პაციენტისთვის სიცოცხლის შენარჩუნების შემთხვევები მათ კლინიკაში არც თუ ისე იშვიათია. თუმცა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ცენტრის მიმართ შავი პიარის აგორება უფრო მოსწონს. ირაკლი ლაღიძე ასეთ მიდგომებს სამწუხაროს უწოდებს: “ძალიან სამწუხაროა, როცა გვყავს ისეთი საზოგადობა, რომელსაც ურჩევნია, ინფორმაცია გაავრცელოს მომხდარი ცუდის შესახებ და არ აღნიშნოს პოზიტივი. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ აქ ნებისმიერი სირთულის, ეგრეთ წოდებულ ტერმინალურ, უიმედო მდგომარეობაში მყოფ პაციენტს ვღებულობთ. იმთავითვე რომ ცნობილია, სამკურნალო ღონისძიებებს არ ექნება გამანჯასაღებელი ეფექტი და ცალსახად დამთავრდება გარდაცვალებით. სწორედ ეს ქმნის უარყოფით აურას დაწესებულების ირგვლივ, რომ თითქოს და ასეთი შემთხვევები ხშირია. მაგრამ რადგან ვღებულობთ პასუხისმგებლობას და მზად ვართ, ვმართოთ ნებისმიერი სირთულის შემთხვევა, ეს, მგონია პირიქით მეტყველებს დაწესებულების მაღალ კვალიფიკაციასა და მაღალი დონის ორგანიზებულობაზე. ასევე შემიძლია, გითხრათ, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, კონკრეტული სამედიცინო დაწესებულებები სხვადასხვა მიზეზების გამო ძირითადად კი უადგილობის, უარს ეუბნებიან გადაუდებელ პაციენტებს სამედიცინო დახმარებაზე. რათა არ შეიბღალოს იმ კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების სახელი და არ აიკიდოს ცუდი იარლიყი. 21 ივლისს მომხდარი შემთხვევა ზუსტად ადასტურებს საპირისპიროს, რომ სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი არის მაღალკვალიფიციური, ერთ-ერთი წარმატებული სამედიცინო დაწესებულება ქვეყნის მასშტაბით, პაციენტის გადარჩენის შემთხვევა ჩვენთან მარტო 21 ივლისს არ დაფიქსირებულა, მათი უმრავლესობა სამწუხაროდ არც ტელევიზიაში და არც პრესაში გაჟღერებულა. ახლა კი მადლიერი ვარ, ცენტრალურმა ტელევიზიებმა იმ დღესაც და შემდგომ დღეებშიც დადებით კონტექსტში არაერთხელ ახსენეს სამტრედიის კლინიკა, თუმცა ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია არა პიარი, არამედ პაციენტის გადარჩენა”.

ბრავო, მზიანი სამტრედია!

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფესტივალი ''არტ-გენი'', 10-დან 17 ივლისის ჩათვლით. 14 ივლისს იმერეთი საჩხერემ, ჭიათურამ და სამტრედიამ წარმოადგინეს. ქართული ფოლკლორით საჩხერიდან ქალთა ანსამბლმა '' საპოვნელა'' და ბავშვთ გუნდმა ''ჩანამღერი''; ჭიათურიდან ვაჟთა ანსამბლმა ''ჩანგი'' დაატკბო დამთვალიერებელი და მსმენელი.

სამტრედია მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა მრავალრიცხოვანი მსმენელის წინაშე. ვაჟთა ანსამბლი ''სამტრედია'', რომელსაც ზურაბ მეფარიშვილი ხელმძღვანელობს, ქალთა ანსამბლი ''ათინათი'', მარინა ვარდანიძის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ანსამბლი ''დილილმე'', მერი ტკვაცირიას ხელმძღვანელობით და ცეკვის ანსამბლი ''ზრდა მოცეკვავისა'', რომელსაც დათო მელქაძე უდგას სათავეში, ფესტივალზე სამტრედიის სავიზიტო ბარათი გახლდათ.

კონცერტის დაწყებამდე თავისუფალი სეირნობა გაიმართა მუზეუმის ეზოში, სადაც ხალხური რეწვის და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები იყო გამოფენილი. თვალშისაცემი იყო უცხოელ დამთვალიერებელთა სიმრავლე. ხალისიან განწყობას ანსამბლ ''ათინათის'' მიერ შესრულებულმა სიმღერებმა მეტი ეშხი შეჰმატა. ხალხი თანდათან შემოვიკრიბეთ და ჩვენს ნამღერ აჭარულ თუ

თუშურ მელოდიებზე ცეკვაც კი დაიწყეს. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო და ჩვენც გავიცანით ქალაქ ვაშინგტონის ქართული ფოლკლორული ანსამბლ ''ნიავის'' წევრები. მათ შესახებ დაწვრილებით გვიამბო ანსამბლის წევრმა ანდრეა ჰარისმა. აღმოჩნდა, რომ მეორე დღეს ისინი სვანეთს უნდა სტუმრებოდნენ, სადაც მასტერკლასი უტარდებოდათ. ამერიკელებმა ჩვენთან ერთად მეგრული ''ჩელა'' შეასრულეს. აღინიშნა კიდეც, რომ სამტრედიამ წლევანდელ ''არტ-გენს'' თავი განსაკუთრებული შესრულებით დაამახსოვრა. გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვთქვათ, სცენიდან არ გვიშვებდნენ! მქუხარე აპლოდისმენტები არც ერთ სამტრედიულ ნომერს არ აკლდა. ანსამბლმა ''სამტრედიამ ხუთი, ''ათინათიმ'' ოთხი, ''დილილმემ'' სამი სიმღერა შეასრულა. ''ზრდა მოცეკვავისა'' სამი ნომრით გახლდათ წარმოდგენილი. ''დილილმეს'' წევრის, ანრი მანჯგალაძის მიერ შესრულებული საცეკვაო კომპოზიციები ცეკვით სრულყო დავით მელქაძემ. იგი დაკვრისას მოულოდნელად შემოვიდა სცენაზე. მან აკომპანიატორობაც გაუწია ანრის. ამ დაუგეგმავმა პასაჟმა მაყურებელთა ოვაციები გააასმაგა. ''ბრავო სამტრედია'' დიდხანს ისმოდა მუზეუმის ეზოში.

''მზიანი სამტრედია'' _ ეს კონცერტის წამყვანის შეფასებაა, რომელმაც ეს პატარა ქალაქი იტალიასაც კი შეადარა.

და ემოცია, ყველა მონაწილეს, დამთვალიერებელს, იქ შეკრებილი საზოგადოება რომ იზიარებდა: ეს დღე ურთიერთდაახლოების, სიყვარულის, მეგობრობის სილამაზისა და მომავალზე მხოლოდ კარგის ფიქრის დღე იყო! მომავალ შეხვედრამდე ''არტ-გენო''!

ნათელა ჯიმშელეიშვილი
#2 საჯარო სკოლის
ჯილაგოვი
ანსამბლ "ათინათის" წევრი

"ზრდა მოცეკვავისა" ჰოლანდიელების ინტერესის არეალში

გარდა იმისა, რომ სამტრედია წარმოადგინეს, ''არტ-გენზე'' ნიაზ დიასამიძის ახლოს გასაცნობად გაემგზავრნენ. მართალია ის ვერ ნახეს, მაგრამ სამომავლოდ წინ გადადგმული ნაბიჯით დაბრუნდნენ იქედან. ამ წარმატებებზე ახლა ჩვენს გაზეთს უყვება ქორეოგრაფიულ ანსამბლ ''ზრდა მოცეკვავისა'' ხელმძღვანელი დათო მელქაძე: ''ზრდა მოცეკვავისა'' 2009 წელს შეიქმნა და 22 წევრისგან შესდგება. ფესტივალზე სამი ცეკვა წარმოადგინეს. პროგრამით ორი ცეკვა გახლდათ გათვალისწინებული, თუმცა ადგილზე შესთავაზეს და ''აჭარულსა'' და ''ცდოს'' მოცეკვავეებმა ''აფხაზურიც'' დაუმატეს. მათმა შესრულებამ ჰოლანდიელების ყურადღება მიიქცია. ასე მოხვდნენ ისინი რუსთავში ჰოლანდიელების დაფინანსებით გამართულ ფესტივალზე. იქამდე, მგზავრობაც მათი მხრიდან გახლდათ დაფინანსებული. ანსამბლის ხელმძღვანელი დათო მელქაძე საუბრობს იმაზე, რომ ''მათ ისე მოეწონათ ჩვენი ცეკვები, სამომავლოდ ჰოლანდიაში მიგვიწვიეს. კონცერტი, რომელიც უნდა გავმართოთ, ერთი საათი და ოცი წუთი გასტანს. უკვე ყველაფერი დაგეგმილია და ჩვენც მუშაობას მალე დავიწყებთ საგასტროლო პროგრამაზე. ძალიან მომგებიანია და რეპერტუარში ჩავრთავთ ფარიკაობის ნომრებს, ''ხანჯლური'' აუცილებელი ატრიბუტი გახდება ჩვენი პროგრამისა.''

თავად ანსამბლის ხელმძღვანელი ხუთი წლიდან ცეკვავს. პროფესიად ქორეოგრაფია აირჩია. როგორც თავად ამბობს, მისთვის ცეკვა ''ყველაფერია, ოჯახივით, მეგობრებივით საყვარელი.''

რაც შეეხება ''არტგენულ'' წარმატებას, ხმამაღალ ოვაციებში გამოიხატებოდა, ჰოლანდიელებთან საქმიანი მოლაპარაკებები კი დასკვნით ეტაპზეა. სხვა მიღწევებთან ერთად ''ზრდა მოცეკვავისა'' პირველ გასტროლზე პროფესიონალურად კიდევ უფრო გაიზრდება, ეს კი მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება.

ია ბაბუნაშვილი

გილოცავთ, ჩვენო ქალაქო!

146 წლის გახდა ამ დღეებში ქალაქი სამტრედია.

დიახ, 146 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა დოკუმენტს ''ქალაქის თვითმმართველობის შესახებ''.

ლექსით მოეფერა სამტრედიას ღირსეული სამტრედიელი, ღვაწლმოსილი ქალბატონი **ნათელა გელეიშვილი:**

დამილოცნიხართ!

ვესალმები ჩემს ქალაქს
ნალოლიავებს, ნაფერებს,
ვეტყვი _ უსაზღვროდ მიყვარხარ
ამოგიქარგავ მაგ ფერებს.
გთხოვთ, მოვეფეროთ ერთმანეთს,
დავძლიოთ ღვარძლი და შური.
ედემის ბაღში ვამრავლოთ
მტრედების გუნდი საშური.
მამულიშვილთა სახელებს
დე, შეემატოს მრავალი,
სამტრედიელთა ოჯახებს
გზა ჰქონდეთ ლაღად სავალი.
დამილოცნიხარ, ქალაქო!
სამტრედიელთა გული ხარ,
როგორ გითხრა და ლამაზთა
ლამაზი თაიგული ხარ!

17.07.2016 წ.

გულით გილოცავთ, ჩვენო ქალაქო!

ლევან გაბეჩავა

ჩვენ ვსწავლობთ "ვეფხისტყაოსანს"

თუმცა ყველა ერთნაირად როდი სწავლობს.

მეორე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს მარიამ ფილიშვილს ჩვენი გაზეთის ერთგულმა მეგობარმა, ნოვატორმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ნათელა ჯიმშელეიშვილმა უმეგზურა რედაქციაში.

საქმე ის გახლავთ, რომ, როცა მარიამი და მისი თანატოლები დაწყებით კლასებში ნათელა მასწავლებლის მოსწავლეები იყვნენ, დამატებითი გაკვეთილის ხრჯზე ''ვეფხისტყაოსანს'' ეუფლებოდნენ. ქალბატონმა ნათელამ მიიღო ეს გადაწყვეტილება მაშინ.

მარიამი ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც ყველაზე მეტი სტროფი ისწავლაო, გვეუბნება ქალბატონი ნათელა.

_ მიუხედავად იმისა, რომ მე-7 კლასში ვარ ურთიერთობა ნათელა მასწავლებელთან არ გამიწყვეტია, მას ვუმადლი 200 კუპლეტი რომ ვიცი ჯერჯერობით ზეპირადო, _ გვეუბნება მარიამი, რომელიც სკოლაშიც მოწინავე მოსწავლედ ითვლება და ანსამბლ ''სამტრედიას'' წევრიცაა (ქორეგრაფი მერაბ პაქსაშვილი).

ნორჩი რესპონდენტი კარგი დეკლამატორიცაა. ყურადღება ნამდვილად მიიპყრო თხრობის მისეული კულტურით.

როგორც ცნობილია ''ვეფხისტყაოსნის'' წლადაა გამოცხადებული 2016 წელი. ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას რომ მეტი ვიცოდეთ ამ პოემის შესახებ, მეტი ვიკითხოთ ''ვეფხისტყაოსანი''.

ლევან გაბეჩავა

პოეზია

***

თუ ცხოვრებამ მიგაჩვია ტკივილს,
დაუნდობლად მიგაბარა ტანჯვას,
მერე რა, რომ ძლიერ, ძლიერ გიჭირს,
ნუ იტყვი რომ მეგობარი არ გვყავს!
მერე რა, რომ დაემონე სინდისს,
მერე რა, რომ შეეუგუე მარცხსაც,
მერე რა, რომ შენგან ბევრი მიდის,
ნუ იტყვი რომ მეგობარი არ გყავს!
მერე რა, რომ ბოღმა გიჭერს ყელში,
მერე რა, რომ მხრებით ცოდვა დაგაქვს,
მერე რა, რომ გროშიც არ გაქვს ხელში,
ნუ იტყვი რომ მეგობარი არ გყავს!
მწუხარებით მაგონდება როცა,
ცრემლების ზღვას ვიშორებდი თვალზე,
მერე რა, რომ ყველაფერი მორჩა,
მეგობარი დაგაყენებს გზაზე!

***

კიბე-კიბე, ფენა-ფენა,
თითო-თითოდ, ნელა-ნელა,
ალაგ-ალაგ, ნატეხ-ნატეხ,
ასე შფოთსაც ხშირად ავტეხ.
მინდორ-მინდორ, გარდი-გარდმო,
ია-ვარდი უნდა დავრგო,
მე, რომ გითხრა: _ ცაში წამო...
თავი შენი უნდა მანდო!
ქუჩა-ქუჩა, კანტრი-კუნტად,
შეიკვრება ფიფქი მუშტად,
მერე წარბებს შევყრი კუშტად,
მოგიგონებ, ასე ზუსტად.
კიბე-კიბე, ფენა-ფენა,
თითო-თითოდ, ნელა-ნელა,
ალაგ-ალაგ, ნატეხ-ნატეხ,
შენზე შფოთსაც ხშირად ავტეხ!

***

სამყარო არც ისე დიდია,
არც მე ვარ, ისეთი პატარა,
აქ ყველა ყალბი და ფლიდია,
სიწრფელე ცოტამ თუ ატარა.
სიბნელე. ოთახი ცივია.
მეგონა დაგვტოვა ზამთარმა...
დღეები, დღეები მიდიან,
დამღალა, დამქანცა აღმართმა.
აქ, სადღაც, უფსკრულის კიდეა.
მოხვედი? არ არის გვიანი!
ცოდვები სათრევად მძიმეა...
ეს მე ვარ! მე _ ადამიანი!

დედა

წელიწადები იქცნენ წამებად,
ასე მოგესწრო კვლავ დაბადება,
ვიცი, რომ ფიქრი გექცა წამებად
და ნუ იდარდებ ძვირფასო დედა.
ქარტეხილები და გრიგალები,
ნათელ მომავალს ვერ დაამსხვრევენ!
დედა... არ გინდა, ნუ ეწვალები,
ვშიშობ, ჭრილობებს გაგიღრმავებენ.
მინდა გიყურო, დიდხანს გიყურო!
გქონდეს სიცოცხლით სავსე თვალები,
მსურს სიხარულის ცრემლი იპკურო
ბედნიერების გატარო გზებით.
რომ გაგიმართლო მოლოდინები,
ფეხქვეშ გაგიგო მთელი სამყარო,
რომ საამაყო გყავდეს შვილები,
შემაძლებინე! ღმერთო მაღალო!
განთიადისას, იმ პირველ სხივზე,
იმ ზღაპრულ დროზე გიყვები ახლა,
რასაც ნათლად და მართლად განვიცდი,
რასაც სითბო და სიკეთე ახლავს.
ჰო, რეალობაც ასეთი მინდა,
სწორედ ისეთი, შენ რომ ინატრებ:
ფაქიზი, სათნო, ბრწყინვალე, წმინდა,
შენით და შენთვის ამას მივაღწევ!

***

ბრონწეულის ყვავილების ფერი მიყვარს
მეწამული ცისყურება მხიბლავს,
ღამით ცაზე ვარსკვლავები რომ კიაფობს
დილით მზე რომ აისრულებს მიზანს.
როს სხივები მიალერსებს სხეულს თბილად
და სიცოცლე ძველებურად მიყვარს,
მერე რაა ოცნებები თუ დამემსხვრა
მაინც დილას ველოდები მზიანს,
ყოველი დღე წინანდელზე საამოა
კიდევ ერთხელ ჰოპლას ვეტყვი დილას.
რომ სიცოცხლე სიხარულით სავსეა და
ამ ყველაფერს სიყვარული ჰქვია.
ბრონწეულის ყვავილივით აგაფეთქებს
მერცხალივით გულს გაუპობს ნიავს,
მეცხრე ცაზე ქედს აისვრი შეძახილით
ამ ყველაფერს საოცრება ჰქვია!!!

მოლოდინი

ჩემო ბებიებო _ სევდის ფერიებო,
როგორ მენატრებით, იცით?
თქვენი თვალები _ უძირო ტბები,
სულ თან დამყვება, იცით?
შვილების მოლოდინში
ჩამქრალი სხივები,
და დიდი სევდა გულში.
კუთხეში მიდგმული გიტარა
ხელუხლებელი,
სიმები ჩაწყვეტილი სულში.
სანთლის ალში და მის სურნელში
ნატვრას იხვევდით გულში
მათი მომლოდინე
ჭიშკარს შეჰყურებდით _
შემოსულს უყურებდით შიშით.
ისინი მოვლენ, ისინი მოვლენო,
ჩვენც დავიჯერეთ თითქმის.
შინმოუსვლელი ბიძების ამბავი
სულ არ ყოფილა მითი.
სულ ასე ლოდინში წლები გაითელა
გავხდით ბავშვები _ დიდი!
მაგრამ ჩვენს ხსოვნას იცით, რა შემორჩა,
დღემდე გახსენებაც მიჭირს.
რამდენჯერ საათს გუგული დასჭექდა და ჩვენ
ვიდექით რიგში...
სულ სანთლებს ვანთებდით პატარა ხელებით
თქვენ კი გვიყოცნიდით თითებს...
მერე წახვედით და ის მოლოდინი თან
გაიყოლეთ ცაში...
მომნატრებია თქვენი სათნოება
და მინდა ვიყო
ბავშვი!

გაეუკა ბიბილეიშვილი

ნონა ჩაჩავა

ცხოველთა უფლებების დაცვა პარლამენტში

ცხოველების პარტია _ პოლიტიკური ორგნიზაცია ნიდერლანდებში, რომლის იდეოლოგიაც ცხოველების უფლებების და გარემოს დაცვაა. ეს ჯგუფი სენატში 2 კაცითაა წარმოდგენილი და დაარსდა 2002 წელს. პარტიამ დაარსებიდან 1 წელიწადში მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში, სადაც 47,754 ხმა მიიღო და 0,5%-ით ვერ მოხვდა პარლამენტში. შემდგომში ამ პარტიისთვის წარმატებული ეტაპი დაიწყო და 2006 წელს გამართულ არჩევნებში მათ 179, 988 ხმა და 1,8% მიიღეს რითიც პარლამენტში შევიდნენ. ამ დროიდან მოყოლებული გაიზარდა მათი მხარდამჭერების რაოდენობა. 2010 წელს მათ კვლავ გადალახეს ბარიერი, მიიღეს 122,317 ხმა, რამაც 1,3% და კვლავ 2 მანდატი შეადგინა. 2012 წელს გამართულ საპარალამენტო არჩევნებში კი 182, 162-მა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი, რაც ამ პარტიის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია. ამ ხმების რაოდენობით მათ კვლავ 2 ადგილი მოიპოვეს სენატში. მსოფლიოში არსებობს ცხოველების დაცვის ბევრი პარტია, მაგრამ ცოტა თუ აღწევს წარმატებას. ამ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორისაა ნიდერლანდების ცხოველების პარტია, რომლის მხარდამჭერების რაოდენობაც წლიდან-წლამდე იზრდება. ჰოლანდიელი ცხოველთა დამცველები ასევე წარმოდგენილნი არიან ევროპარლამენტში 1 კაცით და პროვინციების პარლამენტში 18 მანდატით. ცხოველების პარტია გაწევრიანებულია იმ ჯგუფში, სადაც ევროპის ცხოველთა დაცვის 7 პარტიაა გაერთიანებული.

ცხოველების კეთილდღეობის პარტია _ გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც დაარსდა 2006 წელს და იბრძვის ცხოველების უფლებების დასაცავად. ცხოველების კეთილდღეობის პარტიას ბრიტანეთის მასშტაბით ყავს დაახლოებით 10 000-დან 20 000-მდე მხარდამჭერი. 2014 წელს გამართულ ევროპარლამენტის არჩევნებში, მან მიიღო 21,092 ანუ 0.96%, რითიც ვერცერთი მანდატი ვერ მოიპოვა. ბრიტანეთის არჩევნებში კი, რომელიც 2015 წელს ჩატარდა, კანდიდატი ჰყავდათ 4 დასახლებულ პუნქტში, სადაც საერთო ჯამში 740 ხმა მიიღო და დაბალი მაჩვენებლით ვერ მიაღწია ვერანაირ წარმატებას. მიუხედავად დაბალი რეიტინგისა, პარტია მიანც იბრძვის ცხოველთა უფლებებისა და კეთილდღეობისთვის იგი ევროპის ცხოველთა დაცვის საერთაშორისო პოლიტიკური ჯგუფის წევრია, სადაც 7 პარტია ერთიანდება.

ცხოველური პარტია ცხოველების ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ _ ეს გახლავთ მოქმედი პოლიტიკური ჯგუფი ესპანეთში, რომელიც ცხოველთა უფლებებს იცავს. იგი დაარსდა 2003 წელს. პარტიას ყავს მრავალრიცხოვანი მხარდამჭერთა არმია, რომელიც აწყობს გამოსვლებს, მათ შორის ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის ქუჩებში. ცხოველური პარტია არის ევროპის 7 ამდაგვარი პოლიტიკური ჯგუფის მიერ შექმნილი ორგანიზაციის წევრი. ესპანეთის რეგიონებში ეს პოლიტიკური ორგანიზაცია დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაც კატალონიის და ანდალუზიის წინა წლების არჩევნებზე დაფიქსირდა.

იმერეთის პირველობა წყვილთა რბოლაში DRIFT შოუს სანახაობით

17 ივლისს სამტრედიის მუნიციპალიტეტში კრავეიშვილის ქუჩის ნომერ პირველში გაიხსნა ავტო მოტო კლუბი ''იმერეთის'' ფილიალი, რომლის ხელმძღვანელობა გიორგი აბრამიას დაეკისრა.

ამ მოვლენის აღსანიშნავად ქალაქში ჩატარდა წყვილთა რბოლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რბოლელებმა მთელი საქართველოს მასშტაბით.

აღნიშნულ ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ნატალია მანჯგალაძე ავტორბოლას უმაღლეს შეფასებას აძლევს: ''მივესალმები მსგავს აქტივობას. ჩვენს მუნიციპალიტეტში დიდი პაუზის შემდეგ ჩატარდა ავტორბოლა, რომელმაც საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია რაზეც მეტყველებს დამსწრეთა რაოდენობა. მუნიციპალიტეტის გამგეობა აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში, რაც გამოიხატა სრულ მხარდაჭერაში. გამგეობამ უშუამდგომლა ავტო მოტო კლუბს დაცვისა და საპატრულო პოლიციასთან, სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო სამსახურებთან. სრული მობილიზებისა და მხარდაჭერისათვის ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობას ჩემი სამსახურის სახელით მადლობას ვუხდი''.

ღონისძიება გაგრძელდა დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე. სანახაობის თვალსაზრისით იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მაყურებლის რაოდენობა კი არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა. ვინაიდან ხალხი დაშლას არ აპირებდა, საღამოს 6 საათიდან 7-ის ნახევრამდე სპორტსმენებმა სანახაობისათვის მოსულ საზოგადოებას ნამდვილი დრიფ შოუ დაუდგეს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ წყვილთა რბოლაში თბილისელი გიორგი ხატიაშვილი ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა. პირველმა მოადგილემ, დავით ბახტაძემ უკანა წამყვან გამარჯვებულს, თბილისელ დავით ნუცუბიძეს გამგეობის სახელით ფასიანი საჩუქარი გადასცა.

პირველ ადგილებზე გასულები ასევე დაჯილდოვა ხორცპროდუქტების მაღაზია ''ექსტრამითმა'', ხოლო ავტო სკოლა ''ჯიელამ'' მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გიორგი აბრამია, ავტო მოტო კლუბ ''იმერეთის'' ვიცე პრეზიდენტი, იმერეთის სამტრედიის პრეზიდენტი:

''სამი წლის წინ დავაარსეთ ავტო მოტო კლუბ ''იმერეთი'', რომელმაც ჩაატარა ოფიციალური შეჯიბრი და 8 თანაორგანიზატორობით აქედან ერთ-ერთი გახლდათ იმერეთის ჩემპიონატი წყვილთა ბრძოლაში _ მესამე ეტაპი, რომელიც სამტრედიაში ჩატარდა. ამით დაფუძნდა სამტრედიაში კლუბის იმერეთის ფილიალი, ამ ღონისძიებამ გაზარდა მოყვარული მრბოლელების აღმოჩენა. სასურველია, რომ ასეთი ღონისძიების ჩატარებამ ტრადიციული სახე მიიღოს. მადლობას ვუხდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს, შსს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას. სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურებს და ასევე ჩვენი კლუბის მთელი წლის გულშემატკივარს და სპონსორს ხორცპროდუქტების მაღაზია ''ექსტრამითს''. მადლობას ვუხდი ადგილობრივი ავტოსკოლა ''ჯიელას'' ხელმძღვანელობას`.

ნინო ნანიტაშვილი

ოლიმპიადა

ისინი რიოში გამოვლენ

რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) 5 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება ზაფხულის 31-ე ოლიმპიადა. ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც 5 აგვისტოს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ''მარაკანას'' სტადიონზე, გაემგზავრა და მონაწილეობას მიიღებს სპორტის 13 სხვადასხვა სახეობაში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების 39 სპორტსმენი.

ფეხბურთი

განმეორებითი შეხვედრის ღონ

უეფას ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან სამტრედიის ''სამტრედიას'', გორის ''დილას'' და საჩხერის ''ჩიხურას'' ფეხბურთელთა გუნდების გამოვარდნის შემდეგ ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა თბილისის ''დინამომ'' უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან სომხური ''ალაშკერტის'' გუნდთან 12 ივლისს თბილისში 2 : 0 გამარჯვებისა, ხოლო 19 ივლისს ერევანში ფრედ 1 : 1 ორი მატჩის ჯამის მიხედვით გასვლის შემდეგ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა გამართა ხორვატიის დედაქალაქში ზაგრების ''დინამოსთან'' და დამარცხდა ანგარიშით 2 : 0. განმეორებითი შეხვედრა 2 აგვისტოს შედგება თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის ''დინამო'' არენაზე.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

ხსოვნა

ქალი _ ლეგენდა

ის სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად.

64 წელი იმუშავა ნოღის საჯარო სკოლაში პედაგოგად, აქედან 42 წელი ამ სკოლის დირექტორი იყო.

ქალბატონი ვერა კუტალაძე მოწოდებით გახლდათ პედაგოგი.

ერუდირებული ქალბატონი ორგანიზატორული ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული.

სულაც არ იყო იოლი ქალის სუსტი მხრებით თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ეზიდა ურთულესი მისია სკოლის დირექტორობისა და სასწავლებელი ცნობადი გაეხადა არა თუ რაიონის ქვეყნის მასშტაბით.

ძალზე შორს წაგვიყვანს იმ ღირსეულ ადამიანთა თუნდაც გვარ-სახელების ჩამოთვლა, სხვადასხვა წლებში ნოღის სკოლა რომ დაამთავრეს და შემდეგ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ძლიერების საქმეში.

ფასდაუდებელია ქალბატონი ვერას წვლილი სოფელ ნოღაში ახალი სასკოლო შენობის აგებისა და ამ სკოლისათვის აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელის მინიჭების, აგრეთვე ნოღაში ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ქართული ენათმეცნიერების პატრიარქის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების საქმეში.

გონებაში ხმიანდება აგვისტოს ტრადიციული, რატომღაც დღეისათვის მივიწყებული მასწავლებელთა რაიონული თათბირები, სადაც მისებრ საქმიანი წინადადებებით, ლაკონური საკითხებით, მოსაგვარებელ-მოგვარებული, გადასაჭრელი პრობლემებითა და ღრმა ანალიზით გამოვიდოდა და მსმენელის გულსა და გონებას ატყვევებდა, სტიმულს გვაძლევდა მისი ახალგაზრდული შემართება ახალბედა პედაგოგებს.

ბოლომდე, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა პეწიანობა, საღი აზროვნება.

არავინ შეუწუხებია მისი ამქვეყნად ყოფნით, გარდაცვალებით კი ბევრს ადინა თვალთაგან ცრემლი სინანულისა.

ამ დღეებში 90 წლისა გახდებოდა ღვაწლმოსილი ქალბატონი ვერა კუტალაძე.

უეჭველად ნათელში ამყოფებს მის სპეტაკ სულს არსთა გამრიგე.

ლევან გაბეჩავა

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ნათია ნაცვლიშვილსა და კახა კიკვაძეს მამამთილისა და მამის, ბატონი

ლური კიკვაძის

გარდაცვალების გამო.

კოტე ნაცვლიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

ლური კიკვაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი თანაუგრძნობს კახა კიკვაძეს მამის, ბატონი

ლური კიკვაძის

გარდაცვალების გამო.

საქარიოზის მავნებლობის შესახებ

ათასწლეულების განმავლობაში თაფლი ერთადერთი ტკბილეული იყო. თაფლის ძირითადი ნაწილი ბუნებრივი შაქარი _ ფრუქტოზა და გლუკოზაა. თაფლისა და ტკბილი ხილის მავნე საქაროზით ჩანაცვლების შედეგად ადამიანებმა ჯანმრთელობა სერიოზულად დაიზიანეს.

ბუნებრივი შაქარი ნივთიერებების დიდი ჯგუფია, რომელიც ადამიანის სრულფასოვანი კვებისთვის აუცილებელია. საკვებში 2-2,5 კვირის განმავლობაში მისი უკმარისობა ჰიპოგლიკემიის უმძიმეს მდგომარეობას იწვევს. სხვა შაქრებთან ერთად საქაროზის გამოყენება დაუშვებელია.

საქაროზა (ხელოვნურად გამოყვანილი შაქარი) ეფექტური იმუნოდეპრესანტია. თუ ჯანმრთელ ძაღლს საქაროზას თუნდაც სულ მცირე ოდენობით მივცემთ, 2-3 საათში თვალებიდან და ყურებიდან ჩირქი წამოუვა. ადამიანი საქაროზის მავნე ზემოქმედებას გაცილებით უკეთ უძლებს და შედეგი შედარებით გვიან იჩენს ხოლმე თავს.

XV-XIX საუკუნეებში ევროპელების მიერ ახალი ხალხების აღმოჩენისას მათთან სავაჭრო ურთიერთობა ჯერ სპირტიანი სასმელებით და თამბაქოთი იწყებოდა, შემდეგ იარაღით და ბოლოს ფუფუნების საგნების, მათ შორის, შაქრის (საქაროზის) მიწოდებით გრძელდებოდა. ყველა შემთხვევაში შაქრის მასობრივი მიწოდების დაწყებიდან 3-4 წელიწადში ეთნოგრაფები ამ ხალხებში კბილებისა და ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას აფიქსირებდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს ალკოჰოლისა და თამბაქოს შემთხვევაში არ ხდებოდა.

1920 წლის 13 მაისს მანჩესტერში გამართულ ექიმ-დანტისტთა კონფერენციაზე საქაროზა პირველად დასახელდა კბილების დაავადებების მთავარ მიზეზად.

შემდეგ კი ამ ნივთიერების მიღების სხვა მრავალი უარყოფითი შედეგიც დადგინდა.

ამერიკელი მკვლევარების უახლესი მონაცემებით საქაროზა, სავაჭრო დასახელება "შაქარი":

ხელს უწყობს იმუნიტეტის დაქვეითებას (ეფექტური იმუნოდეპრესანტი);
შეიძლება გამოიწვიოს მინერალების ცვლის დარღვევა;
შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება, მღელვარება, ყურადღების უნარის დარღვევა, ჭირვეულობა ბავშვებში;
ამცირებს ფერმენტების ფუნქციონალურ აქტიურობას;
ხელს უწყობს ბაქტერიული ინფექციებისადმი წინაადმდეგობის უნარს;
შეიძლება დააზიანოს თირკმელი;
ამცირებს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების დონეს;
იწვევს ქრომის მიკროელემენტების დეფიციტს;
ხელს უწყობს სარძევე ჯირკვლების, საკვერცხეების, ნაწლავების, წინამდებარე ჯირკვლების, სწორი ნაწლავის სიმსივნის გაჩენას;
ზრდის გლუკოზისა და ინსულინის დონეს;
არღვევს კალციუმისა და მაგნიუმის ათვისების პროცესს;
აუარესებს მხედველობას;
ზრდის სეროტონინის ნეირომედიატორის კონცენტრაციას;
შეიძლება გამოიწვიოს ჰიპოგლიკემია (გლუკოზის დონის შემცირება);
ხელს უწყობს გადასამუშავებელი საკვების მჟავიანობის ამაღლებას;
ბავშვებში ზრდის ადრენალინის დონეს;
იწვევს საკვები ნივთიერებების შეწოვის პროცესის დარღვევას;
აჩქარებს ასაკობრივი ცვლილებების დაწყებას;
ხელს უწყობს ალკოჰოლიზმის განვითარებას;
იწვევს კარიესს;
ხელს უწყობს სიმსუქნეს;
ზრდის წყლულოვანი კოლიტის განვითარების რისკს;
იწვევს კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების გამწვავებას;
შეიძლება გამოიწვიოს ართრიტის განვითარება;
ახდენს ბრონქული ასთმის შეტევების პროვოცირებას;
ხელს უწყობს სოკოვანი დაავადებების განვითარებას;
შეიძლება გამოიწვიოს კენჭების გაჩენა ნაღვლის ბუშტში;
ზრდის გულის იშემიური დაავადებების რისკს;
ახდენს ქრონიკული აპენდიციტის პროვოცირებას;
ხელს უწყობს ჰემოროის გაჩენას;
ზრდის ვენების ვარიკოზული გაგანიერების ალბათობას;
შეიძლება გამოიწვიოს გლუკოზისა და ინსულინის დონის აწევა ქალებში, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონალურ პრეპარატებს იღებენ;
ხელს უწყობს პაროდონტოზის გაჩენას;
ზრდის ოსტეოპოროზის განვითარების რისკს;
ამაღლებს მჟავიანობას;
შეიძლება დაარღვიოს მგრძნობიარობა ინსულინის მიმართ;
იწვევს გლუკოზისადმი ტოლერანტულობის შემცირებას;
შეიძლება გამოიწვიოს ზრდის ჰორმონის გამომუშავების შენელება;
ზრდის ქოლესტერინის დონეს;
ხელს უწყობს სისტოლური წნევის აწევას;
ბავშვებში იწვევს ძილიანობას;
შეიძლება გამოიწვიოს გაფანტული სკლეროზი;
ხდება თავის ტკივილის მიზეზი;
არღვევს ცილების ათვისების პროცესს;
ზოგჯერ ხდება საკვებზე ალერგიის მიზეზი;
ხელს უწყობს დიაბეტის განვითარებას;
ორსულებში შეიძლება გამოიწვიოს ტოქსიკოზი;
ბავშვებში ახდენს ეგზემის პროვოცირებას;
ქმნის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების წინაპირობას;
შეიძლება დაარღვიოს დნმ-ის სტრუქტურა;
იწვევს ცილების სტრუქტურის დარღვევას;
კოლაგენის სტრუქტურის დარღვევის ხარჯზე იწვევს ნაოჭების ნაადრევ გაჩენას;
ქმნის კატარაქტის განვითარების წინაპირობას;
შეიძლება გამოიწვიოს სისხლძარღვების დაზიანება;
იწვევს თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას;
ახდენს ათეროსკლეროზის განვითარების პროვოცირებას;
ხელს უწყბს ფილტვების ემფიზემის გაჩენას.

საქაროზა ბუნებაში პრაქტიკულად არ არსებობს. ის დიდი ოდენობით მხოლოდ ორ, ადამიანის მიერ ხელოვნური სელექციით გამოყვანილ მცენარეში გვხვდება _ შაქრის ლერწამსა და შაქრიან ჭარხალში; ძუძუმწოვართა და მათ შორის, ადამიანის ორგანიზმს საქაროზას ათვისება არ შეუძლია, ამიტომ ის წინასწარ, წყლის არსებობის პირობებში,საქაროზის მოლეკულას ფერმენტების (ბუნებრივი კატაკლიზატორების) მეშვეობით ბუნებრივ შაქრებად _ გლუკოზად და ფრუქტოზად შლის.

საქაროზას დაშლის მომენტში მასობრივად ჩნდება თავისუფალი რადიკალები ("მოლეკულური იონები"), რომლებიც ორგანიზმის ინფექციისგან დამცველი ანტისხეულების მოქმედების აქტიურ ბლოკირებას ახდენს. ორგანიზმი, პრაქტიკულად, დაუცველი ხდება. საქაროზის ჰიდროლიზის (დაშლის) პროცესი ნერწყვის ზემოქმედებით პირის ღრუში იწყება.

ჩვენს ირგვლივ ცოცხალი სამყაროა, რომლისთვისაც ადამიანის ორგანიზმი უბრალოდ საკვები ნივთიერებების მსხვილი "ნაჭერია". ყოველ წამს ადამიანის ორგანიზმი ბაქტერიული და ვირუსული მიკროფლორით ინფიცირდება, რომელიც ჩვენ შეჭმას ცდილობს. იმუნური სისტემა შეუჩერებლად და მტკიცედ უვნებელყოფს მათ მოქმედებას და ამ პირობებში ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. საქაროზის მიღება ორგანიზმის მცველისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემას უდრის. მიღებული საქაროზის ჰიდროლიზი ეკოლუციის მილიონობით წლის განმავლობაში სრულყოფილი იმუნური სისტემის უძლეველ ფოლადის ხმალს მუყაოს დანად აქცევს.

საკვებში ბუნებრივი შაქრის გამოყენება სასიცოცხლოდ აუცილებელია, ამიტომ უყვართ ბავშვებს ასე ძალიან ტკბილეული და მათი შეზღუდვა საჭირო არ არის. თუმცა აუცილებელია სამუდამოდ ვთქვათ უარი საქაროზაზე _ ნელა მოქმედ, დამანგრეველ საწამლავზე და ის ბუნებრივი შაქრით _ ფრუქტოზითა და გლუკოზით ჩავანაცვლოთ. ტკბილეულიდან მივირთვათ მხოლოდ თაფლი _ ფრუქტოზისა და გლუკოზის ბუნებრივი ნარევი და ტკბილი ცოცხალი და გამხმარი ხილი. ტკბილ გამხმარ ხილს შორის განსაკუთრებით სასარგებლოა ფინიკი, ჭერამი, გარგარი, ქიშმიში, ლეღვი, შავი ქლიავი და სხვადასხვა ხილის კომპოტები, რასაკვირველია, შაქრის გარეშე.

უნდა მოერიდოთ დაშაქრულ ხილს, რადგან მას საქაროზით შაქრავენ. ყოველდღიურად კვებაში ფრუქტოზა გლუკოზას ჯობს, რადგან ის უფრო ნელა შეიწოვება და ორგანიზმი შაქრის ბუნებრივ დონეს თანაბრად ინარჩუნებს.

გლუკოზა სასარგებლოა სპორტსმენებისთვის შეჯიბრების დროს ძალების სწრაფად აღსადგენად.

კვების მრეწველობაში უკვე დანერგილია ფრუქტოზის მასობრივი წარმოება. ფრუქტოზით ამზადებენ სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმსაც, რომლებსაც შეფუთვაზე აუცილებლად აწერია "დამზადებულია ფრუქტოზით". ფრუქტოზა საქაროზაზე 1,75-ჯერ ტკბილია და ფრუქტოზით დამზადებული ნაწარმიც გაცილებით გემრიელია. ფრუქტოზა შეგიძლიათ გამოიყენოთ შაქრის ნაცვლად _ ჩაყაროთ ჩაიში, დაუმატოთ შინაურ საკონდიტრო ნაწარმს, მოადუღოთ კომპოტები და მურაბები... და რაც შეიძლება ხშირად გქონდეთ თქვენს სუფრაზე ბუნებრივი ტკბილეული: თაფლი და ტკბილი ხილი _ ცოცხალი და დაჩირებული ფინიკი, ჭერამი, გარგარი, ქიშმიში, ლეღვი, შავი ქლიავი და შაქრის გარეშე დამზადებული კომპოტები.



ვაჟა აზარაშვილი _
ჭაღარით თმააშლილი,
მღერის,
უკრავს,
ნოტს აწყობს
ასაკის ზღვარწაშლილი.
შემართება ჭაბუკის
ბევრისაგან ასხვავებს,
თუკი ასე გაგრძელდა
100 წელსაც დაახვავებს!

ვულოცავთ!

თამუნა იანტბელიძეს!

ოქროს დაბადების დღე ოქროს ბრწყინვალებად, სიდარბაისლედ, სიმდიდრედ დაგებედოს. გაიხარე შენს შვილთან, ოჯახთან ერთად. გვიგულე შენს მეგობრად და გულშემატკივრად. უფალი გფარავდეს თამუნა, ძალიან გვიყვარხარ!

"საქართველოს მაცნე"

სალომე თევზაძეს!

ჩვენო საყვარელო, საამაყო, ულამაზესო შვილო "ჭრიჭინა", დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს შენს დედ-მამასთან, ძმიკოსთან და ოჯახის წევრებთან ერთად, სულ იხარე და იბედნიერე. გფარავდეთ უფალი შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

შენი ღედიკოს მეგობრები

რედაქციის მისამართი:
საქართველოს, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე საქართველოს

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა